განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურ ენაზე)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი 2018 წლის 11-13 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2018 წლის 20 სექტემბერი

თბილისი

2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი:	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურ ენაზე)
განათლების საფეხური	სამაგისტრო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	(ავტორიზებული/აკრედიტებული)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პაველ ზუფანი მენდელის უნივერსიტეტი ბრნოში ზემედელსკა 1, 61300 ბრნო, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. გოჩა თუთბერიძე
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ბ-ნი ოთარ ქირია
წევრი (სახელი და გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	

აკრედიტაციის ანგარიშის რეზიუმე

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
  პროგრამა დამტკიცებულია სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 6 ივლისის #740 დადგენილებით, რომელიც მოდიფიცირდა იმავე საბჭოს 2016 წლის 21 ივლისის და 2018 წლის 2 აპრილის #01-05-04/95 დადგენილებებით. პროგრამა შემუშავებულია ECTS სისტემის შესაბამისად, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელიც ფარავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება მოცემულია პროგრამის კურიკულუმში. პროგრამის ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს. საგანმანათლებლო კომპონენტი - 70 კრედიტი, რომელთა შორის არჩევითი კურსებია - 5 კრედიტი, საწარმოო პრაქტიკს - 5 კრედიტი. კვლევითი კომპონენტი - 45 კრედიტი, რაც მოიცავს: სამაგისტრო კვლევის პროექტს/პროსპექტუსს - 5 კრედიტი, თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას/კოლოკვიუმს - 10 კრედიტი, სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი.
  ექსპერტთა ჯგუფის წევრები მიესალმებიან უნივერსიტეტის ძალისხმევას მისი პროგრამების ინტერნაციონალიზაციის გაფართოების თაობაზე და განიხილავს წარმოდგენილ პროგრამას სწორი მიმართულებით ფოკუსირებულად. მიუხედავად ზოგიერთი შენიშვნისა პროგრამის შინაარსის მიმართ, იგი განიხილება როგორც სიცოცხლისუნარიანი და ხარისხის საჭირო კრიტერიუმების შესაბამისი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**
  აკრედიტაციის ვიზიტი იყო კარგად ორგანიზებული. ექსპერტთა ჯგუფისათვის შექმნილი პირობები შეესაბამებოდა სამუშაოს და იძლეოდა შეფასების პროცესის ნორმალურ ვითარებაში წარმართვის შესაძლებლობას. ზოგიერთი შეხვედრა არ შეესაბამებოდა სრულად ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნებს - სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა უმეტესობა ჯერ კიდევ ურთიერთობა ჰქონდა უნივერსიტეტთან, ზოგიერთ თანამშრომელთან კი შეხვედრა ვერ მოხერხდა. მიუხედავად ამისა, ვიზიტი იყო ნაყოფიერი და მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჯგუფის მიერ პროგრამის შეფასებისათვის აუცილებელი ცოდნის გაღრმავებაში.

- **სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის შეჯამება**
  სტანდარტის შეუსაბამობასთან დაკავშირებული ვერავითარი საკითხი ვერ იქნა იდენტიფიცირებული. ამგვარად, პროგრამა შეესაბამება ყველა განსაზღვრულ სტანდარტს.

- **რეკომენდაციების შეჯამება**
  რეკომენდაციები ჩამოყალიბებულ იქნა მხოლოდ
  2.3 სტანდარტთან დაკავშირებით:
  - გამოყენებულ იქნეს სტანდარტული სტრუქტურა ყველა კურსის სწავლის შედეგების აღწერისათვის
  - კონკრეტული კურსის რეალური მოთხოვნების უკეთ ასახვის მიზნით გაიმიჯნოს სტუდენტთა დატვირთვა;
  - შინაარსზე დამოკიდებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გადაიხედოს კონკრეტულ კურსებზე დაშვების წინაპირობები;

  2.5 სტანდარტთან დაკავშირებით:
  - სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა;
  - მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია;

  3.1 სტანდარტთან დაკავშირებით:

- გაიზარდოს სტუდენტთა საერთაშორისო "ექსპოზიცია" პროგრამაში მეტი საერთაშორისო მეცნიერის და პედაგოგის მოწვევით;

და 5.3 სტანდარტთან დაკავშირებით:

- მოხდეს კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაცია და რეაგირება იდენტიფიცირებულ საკითხებზე;
- დაიწყოს პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების შედეგების შეკრება.

- **რჩევების შეჯამება**

  მიეცა შემდეგი რჩევები:

- მითითებულ იქნეს პროგრამის ამოცანები იმგვარად, რომ მკაფიოდ აჩვენებდეს პროგრამის მიზანს და იყოს მისი შინაარსის რელევანტური.
- გაუმჯობესდეს ვებ-საიტის ინგლისურ ვერსიაში წარმოდგენილი ინფორმაცია - მათ შორის ინფორმაცია სწავლის გადასახადზე, რამაც შესაძლოა მოიზიდოს სტუდენტები.
- გამოყენებულ იქნეს ვებ-საიტი პროგრამის პრომოუშენისათვის საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად.
- განხილულ იქნეს პროგრამის უფრო სპეციფიური მიზნები კურსდამთავრებულთა კონკრეტული "სამიზნე" თანამდებობებისათვის.
- განხილულ იქნეს პროგრამის შინაარსის მორგება - მეტად უნდა გაესვას ხაზი "ლიდერობას" და "ადამიანურ რესურსებს"; "საერთაშორისო მარკეტინგი" და "ფინანსური მენეჯმენტი", ბაკალავრიატის ცოდნასთან შედარებით, უნდა გაღრმავდეს სპეციფიკაში.
- განხილულ იქნეს კონკრეტული კურსებისათვის კრედიტების სხვადასხვანაირი დისტრიბუცია, რათა უკეთ აისახოს მათი განსხვავებული მოთხოვნები და პოზიცია პროგრამაში.
- სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა;
- კურსის ხელშეწყობა გარანტიას იძლევა, რომ გაგრძელდება კურსის აღწერის ინდივიდუალიზაცია სწავლების მეთოდებთან, შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში.
- გადართოვდეს კურსებში მითითებული ლიტერატურა, რაც ამჟამად შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახელწოდებით; განახლდეს ლიტერატურა "ინოვაციური მენეჯმენტის" კურსისათვის.
- განხილულ იქნეს სწავლის შედეგების განმარტებასთან დაკავშირებული ვორქშოპის ან კურსის ორგანიზება თანამშრომელთათვის.
- ხელი შეეწყოს სტუდენტთა მეტ მონაწილეობას კვლევით პროექტებსა და აქტივობებში შიდა გრანტების და პოტენციური კვლევითი სტიპენდიების მეშვეობით.
- შეტანილ იქნეს სტუდენტების მიერ კურსის შეფასების კითხვარში კითხვები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ,
- მომზადდეს თანამშრომლებისათვის ბოლონიის პროცესის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებული სემინარები და ვორქშოპები (მათ შორის, მუშაობა ფოკუსით ILO-ებზე და SCL-ზე).
- უზრუნველყოფილ იქნენ სტუდენტები ფორმალიზებული ("დასაბუთებული") გამოხმაურებით მათ შეფასებაზე, მათ შორის გაუმჯობესების რეკომენდაციებით.
- სტუდენტებისათვის არსებული მომსახურებების გაცნობა შესაძლოა გაუმჯობესდეს მეტი ინფორმაციის განთავსებით ვებ-საიტზე და სტუდენტებთან კომუნიკაციის სხვა არხებზე.

- გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ხელმისაწვდომ საერთაშორისო რესურსებზე და მათთვის დახმარება სამაგისტრო ნაშრომებისათვის ამ რესურსების გამოყენებაზე.
- მოხდეს არსებული მომსახურებებისა და რესურსების სისტემატიზემა და უზრუნველყოფილ იქნეს მათი მკაფიო აღწერა ვებ-საიტზე, პასუხისმგებელი თანამშრომლების ლინკებით.
- შენახულ იქნეს ჩანაწერები გაწეულ მომსახურებებზე და გამოყენებულ იქნენ ეს ჩანაწერები გაუმჯობესების ძალისხმევისათვის.
- განხილულ იქნეს კონფერენციებზე მონაწილეობისა და დახმარების სხვა ფორმების დაკავშირება ინდივიდუალური პროფესიული ზრდის გეგმებთან.
- მომზადდეს ინვესტირების გეგმა ფიზიკური ინფრასტრუქტურის უახლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
- განხილულ იქნეს ყურადღების გამახვილების საკითხი სტუდენტთა ერთობლივი მუშაობის ობიექტებზე.
- ყურადღება მიექცეს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, მათ შორის სტუდენტის/პერსონალის/კურსდამთავრებულის/დამსაქმებლის გამოხმაურების კითხვარებს და მათი შედეგების დამუშავებასა და გამოქვეყნებას.
- პროგრამის მზადყოფნისა და საერთაშორისო ვარგისიანობის დემონსტრირების მიზნით განხილულ იქნეს საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადება და მიმართვა.

- **საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება**
  - პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე პირობები.
  - სტუდენტთა შეფასებების გამოქვეყნება სკოლის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში.
  - ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტისადმი.
  - პრაქტიკოს სპეციალისტთა ჩართულობა პროგრამაში.
  - ხარისხის უზრუნველყოფის გუნდში პროგრამის პერსონალის სისტემატური ჩართულობა.

- **აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მიმოხილვა:**
  - პროგრამის პოზიტიური შეფასება სხვა უსდ-ების მიერ;
  - სტუდენტთა მიერ მოწონებული პროგრამის მოქნილობა;
  - პროგრამის განხორციელება ინგლისურად;
  - სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობა და ობიექტურობა;
  - პროგრამის ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფს დახმარებას ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებაში;
  - ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აქტიური ზრდა;
  - პროგრამის მდგრადი ბიუჯეტი მისი გაგრძელების უზრუნველსაყოფად;
  - თავდადებული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ერთმანეთთან ლოგიკურადაა დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები განსაზღვრავენ იმ ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებასაც ისახავს მიზნად სტუდენტებში ეს პროგრამა. ისინი აგრეთვე ახდენენ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატანი წვლილის ილუსტრირებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიზნები განსაზღვრულია თვითშეფასების ანგარიშში ზოგად დონეზე, რაც გამოიყურება მისაღებად. მიზნები მიღწევადია და გამოხატავს ინსტიტუციის მისიას, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ბმა საკმაოდ ზოგადია. შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა მხოლოდ გამოხატულია, თუმცა რაიმე მკაფიო მტკიცებულების გარეშე. დეკლარირებული წვლილი სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში უფრო პროკლამაციურია, ვიდრე რეალურად მიღწევადი -"ცოდნაზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის უზრუნველყოფა და სიცოცხლის სტანდარტების გაუმჯობესება" აშკარად განეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად მიზნებს, მაგრამ პროგრამასთან დაკავშირებული განსაზღვრება უნდა იყოს უფრო კონკრეტული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o სტუ-ს ვებ-საიტი; o ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და MBA პროგრამის თვითშეფასების გუნდთან
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o მითითებულ იქნეს პროგრამის ამოცანები იმგვარად, რომ მკაფიოდ აჩვენებდეს პროგრამის მიზანს და იყოს მისი შინაარსის რელევანტური.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პროგრამის მოქნილობა, მისი პრაქტიკული ორიენტაცია.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o სტუდენტთა შედარებით მაღალი კმაყოფილება პროგრამით o მემორანდუმების გაფორმება სტუდენტთა (პოტენციურ) დამსაქმებლებთან
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სწავლის სედეგები, ასევე, აღწერილია ზოგად დონეზე. ყველა კომპონენტი არაა მკაფიო ბმაში პროგრამის შინაარსთან და მკაფიოდ დიფერენცირებული ბაკალავრის დონისაგან. სწავლის შედეგების შეფასების მიმოხილვა მეტწილად ხდება არაფორმალურად, ნაკლები მტკიცებულებების წარმოდგენით საბჭოს სხდომებზე და სხვ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o MBA პროგრამის კურიკულუმი და კურსების სილაბუსები; o გასაუბრებები სდასუ-ს პერსონალთან. o თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების აღწერა, რათა გახდეს იგი უფრო სპეციფიური კონკრეტული (სამაგისტრო) პროგრამისათვის. o მოხდეს შედეგების შეფასების სისტემის ფორმალიზება მასზე მუშაობის არსებითი მტკიცებულებების უზრუნველყოფით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	■			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე მიღების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი MBA პროგრამაზე სწავლის უფლება ეძლევა ბაკალავრის ან ეკვივალენტური აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც მიიღება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ინგლისური ენის გამოცდის საფუძველზე. ჩარიცხვის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების მიერ მისი ხელმისაწვდომობით. რელევანტური ინფორმაცია წარმოდგენილია აკადემიურ პროგრამაში. იგი, ასევე, ნაწილობრივ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-საიტზე, თუმცა ინგლისურად ინფორმაცია არასრულია მიუხედავად იმისა, რომ მოიცავს ინფორმაციას მიზნებზე, შედეგებსა და შეფასების სისტემაზე. ოლონ ავ დამაბნეველი, რომ სხვადასხვა გვერდებს (მაგ. http://gtu.ge/bef/en/edu-programs/master_en.php, and http://gtu.ge/Eng/Study/Eng-Lang-Educational-Programs.php) მივყავართ განსხვავებულ ინფორმაციასთან და პარადოქსულად, უნივერსიტეტის ვებ-საიტი უზრუნველყოფს უფრო დეტალურ ინფორმაციას, ვიდრე ფაკულტეტისა. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები პროგრამის კატალოგში მითითებული საკონტაქტო პირებისაგან. პროგრამაზე ჩარიცხვის პირობები ასახავენ საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o სტუ-სა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ვებ-საიტები o MBA პროგრამა
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o გაუმჯობესდეს ვებ-საიტის ინგლისურ ვერსიაში წარმოდგენილი ინფორმაცია - მათ შორის ინფორმაცია სწავლის გადასახადზე, რამაც შესაძლოა მოიზიდოს სტუდენტები. o გამოყენებულ იქნეს ვებ-საიტი პროგრამის პრომოუშენისათვის საერთაშორისო სტუდენტების მოსაზიდად.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პროგრამაზე მიღების გამჭვირვალე პირობები.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მიღების პირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანამიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა, როგორც ჩანს მასში არის ადამიანური რესურსებისა და ლიდერობის სფეროების შეუფასებლობა, რომლებიც არაა საკმარისად ასახული კურსის სტრუქტურაში. პროგრამის მიზნების საკმაოდ ზოგადი ფორმის გამო, შინაარსი კარგია, თუმცა უფრო კონკრეტული მიზანი იქნებოდა სასურველი. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის აღწერილობა o თვითშეფასების ანგარიში o შეხვედრები პერსონალთან, MBA პროგრამის სტუდენტებთან დაკურსდამტავრებულებთან
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o განხილულ იქნეს პროგრამის უფრო სპეციფიური მიზნები კურსდამთავრებულთა კონკრეტული "სამიზნე" თანამდებობებისათვის. o განხილულ იქნეს პროგრამის შინაარსის მორგება - მეტად უნდა გაესვას ხაზი "ლიდერობას" და "ადამიანურ რესურსებს"; "საერთაშორისო მარკეტინგი" და "ფინანსური მენეჯმენტი", ბაკალავრიატის ცოდნასთან შედარებით, უნდა გაღრმავდეს სპეციფიკაში.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამის პოზიტიური შეფასება სხვა უსდ-ების მიერ;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევა, როგორც ჩანს, მეტწილად რეალისტურია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაა ყოველთვის განსაზღვრული სტანდარტულ სტრუქტურაში და არასაკმარისად წარმოადგენს კურსის შინაარსს. სწავლებისა და სწავლის მეთოდები ყოველთვის აღწერილია ერთნაირად, რაც, ასევე, არ აჩვენებს სხვადასხვა კურსების განსხვავებულ მოთხოვნებს. კრედიტ-საათები განაწილებულია თითქმის ერთნაირად - კურსებს მინიჭებული აქვს კრედიტები შედარებით ერთნაირი გზით და ასევე, დატვირთვის განაწილება თითქმის ერთნაირია ყველა კურსისათვის (მათ შორის მაგ. პრაქტიკული პროექტისათვის). ეს არაა რეალისტური და არ შეესაბამება სხვადასხვა კურსების განსხვავებულ მოთხოვნებს - სადაც, მაგალითად, "სტატისტიკაში" მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს საკონტაქტო საათებს, ხოლო კურსში "საერთაშორისო მენეჯმენტი" ან "მარკეტინგის მენეჯმენტი" უფრო დიდი წილი უნდა დაეთმოს დამოუკიდებელ მუშაობას. სასწავლო მასალები უმეტესწილად ასახავს მოთხოვნებს, გამონაკლისს წარმოადგენს კურსი ერთადერთი სახელწოდების ლიტერატურით და კურსი "ინოვაციური მენეჯმენტი", რომელიც საჭიროებს უფრო ახალ ლიტერატურას. კურსებზე დაშვების წინაპირობების განსაზღვრა არალოგიკურია და ძირითადად მინართულია პირველი სემესტრის სტუდენტების პრევენციაზე მეორე სემესტრის კურსების გავლისაგან. წინაპირობები უნდა იყოს განსაზღვრული კურსის შინაარსიდან და არა სწავლის ორგანიზებიდან გამომდინარე. (უფრო მეტიც, სტუდენტთა რაოდენობისა და მათთან მჭიდრო კონრაქტის გამო - ეს არ გამოიყურება საჭიროდ ამ თვალსაზრისითაც კი).
მტკიცებულებები/ინდიკატორები o პროგრამის აღწერილობა o თვითშეფასების ანგარიში o შეხვედრები პერსონალთან, MBA პროგრამის სტუდენტებთან დაკურსდამტავრებულებთან
რეკომენდაციები: o გამოყენებულ იქნეს სტანდარტული სტრუქტურა ყველა კურსის სწავლის შედეგების აღწერისათვის o კონკრეტული კურსის რეალური მოთხოვნების უკეთ ასახვის მიზნით გაიმიჯნოს სტუდენტთა დატვირთვა; o შინაარსზე დამოკიდებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გადაიხედოს კონკრეტულ კურსებზე დაშვების წინაპირობები;
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o განხილულ იქნეს კონკრეტული კურსებისათვის კრედიტების სხვადასხვანაირი დისტრიბუცია, რათა უკეთ აისახოს მათი განსხვავებული მოთხოვნები და პოზიცია პროგრამაში. o სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა; o კურსის ხელშეწყობა გარანტიას იძლევა, რომ გაგრძელდება კურსის აღწერის ინდივიდუალიზაცია სწავლების მეთოდებთან, შეფასების კრიტერიუმებთან მიმართებაში. o გაფართოვდეს კურსებში მითითებული ლიტერატურა, რაც ამჟამად შემოიფარგლება მხოლოდ ერთი სახელწოდებით; განახლდეს ლიტერატურა "ინოვაციური მენეჯმენტის" კურსისათვის. o განხილულ იქნეს სწავლის შედეგების განმარტებასთან დაკავშირებული ვორქშოპის ან კურსის ორგანიზება თანამშრომელთათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული,სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის შედეგების მიღწევა მეტწილად რეალისტურია. პრაქტიკული მუშაობის განვითარება უზრუნველყოფილია სავალდებულო ბიზნეს-პრაქტიკის მეშვეობით, რომელსაც მივყავართ სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისაკენ. სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში შეზღუდულია იმის გამო, რომ სტუდენტები დასაქმებულნი არიან და არა აქვთ დრო შეთავაზებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o MBA პროგრამა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o ხელი შეეწყოს სტუდენტთა მეტ მონაწილეობას კვლევით პროექტებსა და აქტივობებში შიდა გრანტების და პოტენციური კვლევითი სტიპენდიების მეშვეობით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის (SCL) მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლებისა და სწავლის მეთოდები ყოველთვის აღწერილია ერთნაირად, რაც, ასევე, არ აჩვენებს სხვადასხვა კურსების განსხვავებულ მოთხოვნებს. სწავლის შედეგების მიღწევა, როგორც ჩანს, მეტწილად რეალისტურია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არაა ყოველთვის განსაზღვრული სტანდარტულ სტრუქტურაში და არასაკმარისად წარმოადგენს კურსის შინაარსს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o MBA პროგრამის აღწერა o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o სხვადასხვა კურსების განსხვავებული მოთხოვნების ასახვის მიზნით გაიმიჯნოს გამოყენებული სწავლების მეთოდების აღწერა; o მოხდეს სწავლის შედეგების აღწერის სტანდარტიზაცია;
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o შეტანილ იქნეს სტუდენტების მიერ კურსის შეფასების კითხვარში კითხვები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ, o მომზადდეს თანამშრომლებისათვის ბოლონიის პროცესის კონკრეტულ ასპექტებთან დაკავშირებული სემინარები და ვორქშოპები (მათ შორის, მუშაობა ფოკუსით ILO-ებზე და SCL-ზე).
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o სტუდენტთა მიერ მოწონებული პროგრამის მოქნილობა; o პროგრამის განხორციელება ინგლისურად;
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. იგი გამჭვირვალეა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში გამოყენებული შეფასების მეთოდები კარგად დადგენილი და სტანდარტიზებულია. ისინი გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o MBA პროგრამის აღწერა o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o უზრუნველყოფილ იქნენ სტუდენტები ფორმალიზებული ("დასაბუთებული") გამოხმაურებით მათ შეფასებაზე, მათ შორის გაუმჯობესების რეკომენდაციებით.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o სტუდენტთა შეფასებების გამოქვეყნება სკოლის საინფორმაციო სისტემის ფარგლებში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o სტუდენტთა შეფასების გამჭვირვალობა და ობიექტურობა;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		[redacted]		

3. სსტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; პროგრამის პერსონალი ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას აღნიშნული სერვისების შესახებ, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა მხარდაჭერის მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციებს ინდივიდუალური თხოვნით, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ დახმარებას როგორც ეს აღწერილია თვითშეფასების ანფარიშში და განმარტებულია კურსების აღწერაში. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, უზრუნველყოფს სტუდენტებს სათანადო ინფორმაციით და საჭირო დახმარებით, რაც მაღალ შეფასებას იღებს სტუდენტების მხრიდან, თუმცა სტუდენტების ექსპოზიცია საერთაშორისო პროექტებსა და პედაგოგებზე საჭიროებს გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o კურსის აღწერები o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o გაიზარდოს სტუდენტთა საერთაშორისო "ექსპოზიცია" პროგრამაში მეტი საერთაშორისო მეცნიერის და პედაგოგის მოწვევით;
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o სტუდენტებისათვის არსებული მომსახურებების გაცნობა შესაძლოა გაუმჯობესდეს მეტი ინფორმაციის განთავსებით ვებ-საიტზე და სტუდენტებთან კომუნიკაციის სხვა არხებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o ინდივიდუალური მიდგომა სტუდენტისადმი.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ ნაშრომის კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია სათანადო დონეზეა. სამაგისტრო ნაშრომი ხშირად ამ მოიცავს შესაბამის მეთოდოლოგიურ ნაწილს და გამოყენებული ლიტერატურის უმეტესობა ქართულ ან რუსულენოვანია, ასე, რომ ხელი უნდა შეეწყოს მეტი უცხოური რესურსების გამოყენებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს o სამაგისტრო ნაშრომის ნიმუშები მიეწოდებათ ადგილზე
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o გაიზარდოს სტუდენტთა ინფორმირებულობა ხელმისაწვდომ საერთაშორისო რესურსებზე და მათთვის დახმარება სამაგისტრო ნაშრომებისათვის ამ რესურსების გამოყენებაზე.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს პროგრამის შესაბამის კომპონენტში მოცემული სწავლის შედეგების უზრუნველსაყოფად საჭირო კომპეტენციებს. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციები დასტურდება აკადემიური ნაშრომებით. პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება და უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელი სათანადოდ კვალიფიციური და გამოცდილია იმისათვის, რომ გააუმჯობესოს პროგრამის ხარისხი და თავადაც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. სტუდენტები შესაბამისად კვალიფიციური პერსონალის მხრიდან უზრუნველყოფილნი არიან სათანადო ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o მოხდეს არსებული მომსახურებებისა და რესურსების სისტემატიზება და უზრუნველყოფილ იქნეს მათი მკაფიო აღწერა ვებ-საიტზე, პასუხისმგებელი თანამშრომლების ლინკებით. o შენახულ იქნეს ჩანაწერები გაწეულ მომსახურებებზე და გამოყენებულ იქნენ ეს ჩანაწერები გაუმჯობესების ძალისხმევისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამის ფინანსური სტაბილურობა უზრუნველყოფს დახმარებას ინდივიდუალურ პროფესიულ განვითარებაში;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პერსონალის შეფასება ხდება არაფორმალურ დონეზე. აცხადებენ, რომ იგი კეთდება რეგულარულად, თუმცა ფორმალური ჩანაწერი არ იქნა წარმოდგენილი. პერსონალი მკაფიოდ აცხადებს, რომ ისინი გრძნობენ საკმარის დახმარებას მათ ინდივიდუალურ განვითარებაში, მათ შორის ფინანსურს კონფერენციებში მონაწილეობისათვის და სხვ. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა შეიძლება გაუმჯობესდეს, ასე, რომ ინდივიდუალური პროფესიული ზრდის გეგმებთან დაკავშირებით მხარდაჭერაც, ასევე, შეიძლება უკეთ იყოს დაგეგმილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o განხილულ იქნეს კონფერენციებზე მონაწილეობისა და დახმარების სხვა ფორმების დაკავშირება ინდივიდუალური პროფესიული ზრდის გეგმებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o პრაქტიკოს სპეციალისტთა ჩართულობა პროგრამაში.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა ეხმარება პროგრამის მიზნების უზრუნველყოფას. უნივერსიტეტი ადაპტირებულია სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისადმი. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. წიგნადი ფონდი შეესაბამება პროგრამის აკადემიური კურსებში მითითებულ ლიტერატურას. ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა საჭიროებს განახლებას/გაუმჯობესებას, რათა უკეთ ასახოს თანამედროვე საჭიროებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს o ობიექტების მონახულება ადგილზე ვიზიტის დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o მომზადდეს ინვესტირების გეგმა ფიზიკური ინფრასტრუქტურის უახლეს სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის აქტიური ზრდა;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიანი წესების შესაბამისად. ფაკულტეტის ფინანსები გამოყოფილია ბიუჯეტში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. აკადემიური პროგრამა ფინანსურად მდგარდია, რაც დასტურდება აკადემიური პერსონალის გამოცდილებით. როგორ წინა თავში აღინიშნა, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს გამოყენებული ფიზიკური რესურსების განახლებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o განხილულ იქნეს ყურადღების გამახვილების საკითხი სტუდენტთა ერთობლივი მუშაობის ობიექტებზე.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o პროგრამის მდგრადი ბიუჯეტი უზრუნველყოფს მის გაგრძელებას;
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	■			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურა, რომელიც სისტემატური მონიტორინგით განავითარებს პროგრამის ხარისხს, მისი შინაარსის, პროცესების და შედეგების კუთხით, დადგენილია. მოვალეობები მკაფიოდაა გაწერილი და ხარისხის უზრუნველყოფის გუნდი კარგადაა აღჭურვილი კვალიფიციური პერსონალით და აუცილებელი ტექნიკური დახმარებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o სტუ-ს შინაგანაწესი o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o ყურადღება მიექცეს ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, მათ შორის სტუდენტის/პერსონალის/კურსდამთავრებულის/დამსაქმებლის გამოხმაურების კითხვარებს და მათი შედეგების დამუშავებასა და გამოქვეყნებას.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o ხარისხის უზრუნველყოფის გუნდში პროგრამის პერსონალის სისტემატური ჩართულობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o თავდადებული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის უზრუნველყოფა
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება სახელმწიფო აუდიტის და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. სახეზეა დაწესებულების რეაგირება აუდიტის შედეგებზე, რომელიც გამოიყურება შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს
რეკომენდაციები: o არ არის
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o პროგრამის მზადყოფნისა და საერთაშორისო ვარგისიანობის დემონსტრირების მიზნით განხილულ იქნეს საერთაშორისო აკრედიტაციისათვის მომზადება და მიმართვა.
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არსებობს განსაკუთრებული მიღწევა, რომ იქნეს აღიარებული
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული განხილვა ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა მონაწილე მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატიურად შეგროვებითა და გაანალიზებით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის დასახვეწად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი შეჯამება და ანალიზი პროგრამის მიმოხილვა და მონიტორინგი ხორციელდება უფრო არაფორმალურად. მიუხედავად იმისა, რომ მიმოხილვაზე დახარჯულია აშკარა ძალისხმევა, ფორმალური ჩანაწერები, როგორც წესი, არ არსებობს და არ ხდება სისტემატურად მათზე მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o ინტერვიუები აკრედიტაციის ვიზიტი დროს o დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტები (აკადემიური საბჭოს დადგენილებები, დეპარტამენტების ოქმები და ა.შ.)
რეკომენდაციები: o მოხდეს კურსზე გამოხმაურების კითხვარების შეგროვების სისტემატიზაცია და რეაგირება იდენტიფიცირებულ საკითხებზე; o დაიწყოს პერსონალის, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევების შედეგების შეკრება.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o არ არის
საუკეთესო პრაქტიკა (-ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში): o არ არის შემოთავაზებული განსაკუთრებული საუკეთესო პრაქტიკა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o თავდადებული პერსონალი ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არაა შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურ ენაზე)

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 23

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. პროგრამების მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს	■			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		■		
3. სსტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	■			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	■			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	■			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

პაველ ზუფანი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

გოჩა თუთბერიძე

ოთარ ქირია